ს. არნჰოლდი,
პ. ბუხრაშვილი,
ფ. ბლოხერი,
ზ. ცქვიტინიძე,
შ. დავითაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2021 წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში

2021 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული სასწავლო-კვლევითი პროექტის – „კავკასიაში სახელმწიფოებრივობის სათავეებთან“ ფარგლებში, გაერთიანებულმა ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[1], რომლიც ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, და რომელიც ფინანსდება გერდა ჰენკელისა (https://www.gerda-henkel-stiftung.de/), გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების (http://www.orient-gesellschaft.de/) და ჰალლეს უნივერსიტეტის (https://www.uni-halle.de/) მიერ, გათხრითი სამუშაოები განაახლა:

1. სოფ. სამრეკლოს მახლობლად მდებარე ე. წ. „საყარაულო სერზე“ და
2. მთა „ნაზარლებზე“ წინა წლებში გამოვლენილი სამლოცველოს შესასწავლად.

---

[1] ექსპედიციის შემადგენლობა: პროფ. პაატა ბუხრაშვილი (ექსპედიციის ხელ-ი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), პროფ. ფელიქს ბლოხერი (ჰალლეს უნივერსიტეტი), დოქტ. სიმონე არნჰოლდი (ჰალლეს უნივერსიტეტი), ზურაბ ცქვიტინიძე (ილიას სახ. უნივერსიტეტის მოწეული ლექტორი), დოქტ. საბინა ბროდბეკ-იუკერი (ციურიხი, შვეიცარია), დოქტ. რენე კუნცე (ჰალლეს უნივერსიტეტი), ჰაიკო შტაინვანდი (Steichardt&Wedekind), შორენა დავითაშვილი (სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), ლიკა ლოლაშვილი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), ბეატრის ვოლლნი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ჰალლეს უნივერსიტეტი), ანა ულმშტატი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ჰალლეს უნივერსიტეტი), სამანტა პეტრელა (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი), კლაუდია მიულერი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი), როლანდ ფრანკი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი), მორიც ნოიბაუერი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი).

„სამრეკლო“-ს მრავალფენიანი ნამოსახლარი

2021 წლის 30 ივლისიდან 21 აგვისტომდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოს მიმდებარე ნამოსახლარის თხემზე, კვლავ შესაძლებელი გახდა აქ 2019 დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოების განახლება[2] (სურ. 1). გამოვლინდა სამოსახლოს რამდენიმე ჰორიზონტი და დაფიქსირდა სამი სამარხი.

აღნიშნული სამარხები დასახლების ყველაზე მოგვიანო პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. პირველი მათგანი უშუალოდ კორდოვან ფენის მოსდევდა, უინვენტარო გახლდათ და მხოლოდ მთლიან თავის ქალას და რამდენიმე რამდენიმე ძვალს შეიცავდა. მეორე სამარხში, რომელიც ასევე ზედაპირიდან 0.30 მ სიღრმეზე მდებარეობდა, მკვეთრად მოხრილი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული და ახლდა მოწითალო იასპის ორი მომცრო მძივი. უკანასკნელი სამარხი, დანარჩენ ორ სამარხთან შედარებით, ყველაზე მდიდარი ინვენტარით გამოირჩეოდა. საუბარია სამარხზე რომელშიც, ორსახელურიან სადღვებელში ჩასვენებული, მცირეწლოვანი ბავშვი (2-3 წლის) იყო დაკრძალული (სურ 2). მიცვალებულისთვის ჭირისუფალს ჩაუტანებია შავპრიალა, ძირგამობურცული თიხის სასმისი, რომლის ძირი ხუთი სპირალური ორნამენტით იყო მორთული, ხოლო მის გარე ზედაპირს ექვსი მომცრო კოპი და ჭდეული დაკავკაული ამკობდა (სურ 3). ნაკეთობა, მაღალი ხარისხის კერამიკული ნამზადია და ლითონისებური ბზინვარებით ხასიათდება. სამახრში, ასევე, ჩატანებული იყო თეთრი პასტის მძივები, ბრინჯაოს საყურე და ერთი სადა, ასევე ბრინჯაოს ბეჭედი. სადღვებლის პირთან მიდგმული იყო მცირე ზომის ჭინჭილა (სურ. 2), რომელიც ამჟამად, შიგთავსით, ანალიზზეა გაგზავნილი გერმანიაში; ხოლო მისგან ოდნავ მოშორებით აღმოჩნდა მცირე ზომის თიხის ცხოველის ფიგურა (სავარაუდოდ სათამაშო) (სურ. 4).

სამივე ეს სამარხი ზედაპირიდან 0.30-0.40 მ სიღრმეზე დაფიქსირდა და მათ გარშემო სხვა სამარხები არ იკვეთება. ისინი განლაგებული იყო მცირე ქვაყრილის მიმდებარე, რომლის თანაბარი აღების შემდეგ, მის ქვემოთ არავითარი სტრუქტურის კვალი არ დადასტურდა. თუმცა, მომავალისთვის, მის გარეშემო არეალის გაფართოების შემდეგ, შესაძლოა, იგივე დონეზე, სხვა ახალი სამარხებიც აღმოჩნდეს.

---

[2] ანგარიში მომზადებულია უშუალოდ გათხრების დასრულებისთანავე. მოპოვებული მასალისა და დოკუმენტაციის დეტალური დახარისხება-კვლევა უკვე მიმდინანრეობს.

სადღვებელში დაკრძალული ბავშვის სამარხი, ჯერ-ჯერობით, სამრეკლოს ნამოსახლარის ერთადერთი დამათარიღებელი ელემენტია: სადღვებელში დაკრძალვის ფაქტი, აქამდე, შირაქის ზეგანზე გამოვლენილ სამაროვნებზე, არ დადასტურებულა. ზოგადად, სადღვებლები, ჩატანებულია უდაბნოს, საგარეჯოს, სამთავროს სამაროვნებზე შესწავლილ სამარხებში. ეს სამაროვნები, ზოგადად, ქრისტემდე მეორე ათასწლეულის ბოლო – პირველი ათასწლეულის დასაწყისი ხანებით თარიღდება.[3]

ზემოთ ანიშნული, მომცრო, მაღალმხატვრული ფიალის ძირითადი ფორმა, ზუსტად იმეორებს აქემენიდური ხანის ფიალების ფორმებს; მსგავსი ფორმები დადასტურებულია ქუმბათის ნამოსახლარზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაშიც,[4] რომელიც, იქ აღმოჩენილი „დიდი კომპლექსის“ სტრატიგრაფიულ კონტექსტში, ქრისტემდე V საუკუნის ბოლო პერიოდით და IV საუკუნის პირველი ნახევრით ანუ, აქემენიდური ხანით არის დათარიღებული.

სადღვებლის პირთან მიდგმული ჭინჭილის ფორმა კარგადაა ცნობილი ამ მხარეში მოპოვებული, VI-V საუკუნეების არქეოლოგიური მასალის კონტექსტში.[5] ასე, რომ აღნიშნული ბავშვის სამარხი აქემენიდური პერიოდით უნდა დათარიღდეს.

თავად დაკრძალვის ფორმა, ანუ ცენტრალური მრგვალი ქვაყრილის აღმართვა სამარხზე, უფრო ადრეული ფორმების გამოძახილი უნდა იყოს, როგორც ეს გამოვლენილია საგარეჯოს სამაროვანხე და ქრისტემდე პირველი ათასწლეულის დასაწყისით არის დათარიღებული.[6] ამ სამაროვანზე ხშირად გვხვდება სადღვებლები სამარხეულ ინვენტარში. ეს ფაქტი, ამ მხარეში, გარკვეული მემკვიდრეობის დამადასტურებელ ფაქტად უნდა მივიჩნოთ თუ არა, ამას მომავალი კვლევა გვიჩვენებს.

ორი კვადრატული ფორმის ქვაფენილი, რომელიც სამოსახლო ჰორიზონტზე ადვილად განირჩეოდა ერთიმეორისგან (სურ. 5). პირველი ქვაფენილი ზედაპირიდან დაახლოებით 0.1-0.15 მ სიღრმეზე აშკარად მიანიშნებდა მის აღმ-დან დას-სკენ დამხრობას. სამხრეთის მხრიდან ის მოგვიანო ცარიელი ორმოთი იყო გადაჭრილი. ამ ფენილიდან მომდინარე ფრაგმენტული და ნარევი მასალა ჯერ არ იძლევა მისი დათარიღების საშუალებას.

---

[3] Brodbeck-Jucker 2019; Ludwig 2010, 57

[4] Ludwig 2010, 23–24.130

[5] Ludwig 2010, 59.289-290

[6] Ludwig 2010, 37–39

უშუალოდ მის ქვეშ და 90°-ის დახრილობით, ჩრდილოეთიდან სამხრეთ მიმართული ქვაფენილი გამოიკვეთა. ხაზოვანი ფორმა, აქაც მის კვადრატულ მოყვანილობაზე მიგვითითებს, მაგრამ იგი ძლიერ არის დაზიანებული და ჩაქცეულია სიღრმეში. დასახლების ეს ორივე ჰორიზონტი, მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მხრივ შემდგომ კვლევას საჭიროებს.

უკანასკნელი, რაც უნდა აღინიშნოს ის გახლავთ, რომ აქვე იკვეთება ორმაგი მშრალი წყობით და ხურდა ქვით შევსებული კედელი, ძალზე ფრაგმენტულად; რომელიც 1 მ სიღრმეზე ფიქსირდება და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

სამაროვანი, რომელიც სამოსახლოდან დაახლოებით 500 მეტრში იკვეთებოდა და აღნიშნული გვქონდა 2019 წლის ანგარიშში, ამჟამად განადგურებული დაგვხვდა თანამედროვე სამეურნეო სამუშაოების შედეგად.

სამლოცველო, მთა „ნაზარლები“-ს თხემზე

მიმდინარე საანგარიში წლის 19 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე, ექსპედიციამ, შირაქის ზეგანზე, „ნაზარლების“ მთაზე (სურ. 6), კვლავ განაახლა წინა, 2018/19 წლებში გამოვლენილი და დაკონსერვებული გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამლოცველოს არქეოლოგიური შესწავლა[7] (რაზმის ხელ-ები: პროფ. პაატა ბუხრაშვილი, პროფ. ფელიქს ბლოხერი, ზურაბ ცქვიტინიძე, შორენა დავითაშვილი).

საველე-გათხრითი სამუშაოების პირველი ორი დღე, ძირითადად, საკონსერვაციო ფენის მოხსნას მოხმარდა; რის შემდეგაც განახლდა სამლოცველოს შიდა სივრცის პრეპარაცია – იხსნებოდა ნაცროვანი ფენები, რომლებიც შეინიშნება სამლოცველოს მთელს შიდა პერიმეტრზე. პრეპარაციის მომენტში აღმოჩენილი ყოველი ნივთი დაფიქსირდა შესაბამისი ხელსაწყოების საშუალებით.

ასევე, მიმდინარე წელს, 2 მ სიგანეზე გაფართოვდა აღმოსავლეთ ჭრილი და მოიხსნა მიწა სამლოცველოს აღმოსავლეთით, რომელიც ფარავდა შემოსასვლელ კარიბჭეს; რომელიც ძირეულად იყო დაზიანებული თანამედროვე პერიოდში, მასზე გამართული გეოდეზიური პუნქტის მოწყობის შედეგად (სურ. 7).

სავარაუდოდ, სამლოცველოს კარიბჭე, მთა ნაზარლების თხემზე ყველაზე მაღალი წერტილი უნდა ყოფილიყო, რის გამოც იგი

[7] ბუხრაშვილი პ. 2017, ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2018, ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2020, Bukhrashvili P. et al. 2019, Bukhrashvili P. et al. 2020

კარტოგრაფების მიერ შეირჩა კიდეც გეოდეზიური წერტილის მოსაწყობად; სწორედ ამან გამოიწვია, სამლოცველოს ამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის დაზიანება (შეიძლება ითქვას თითქმის განადგურებაც კი). თუმცა ამ მონაკვეთის გაწმენდის შემდეგ, მაინც გახდა შესაძლებელი მისი საძირკვლის დონეზე ფრაგმენტების დაფიქსირება, რაც ნაწილობრივ მაინც გვიქმნის შთაბეჭდილებას სამოცველოს შესასვლელი კარიბჭის პირველადი მოხაზულობის თაობაზე (სურ. 8). აქვე, ნაძრავ ფენაში, აღმოჩნდა ბრიჯაოს ნაჭდევორნამეტიანი თხელფირფიტოვანი ბეჭედი და გამოიკვეთა ჭიშკარ-საკურთხევლის ფილებით მოგებული საძირკველი.

პარალელურად, მოიხსნა შიდა უღლები და გაგრძელდა სამლოცველოს გალავნის პრეპარაცია. ასევ, დონეების დასაფიქსირებლად, ხელახლა დაზუსტდა ათვლის წერტილები.

სამლოცველოს ცენტრალურ ნაწილში, „საკურთხევლის“ პრეპარაციისას, ფილებქვეშ, გამოიკვეთა მცირე, რიყის ქვების კედლის ფრაგმენტი (სურ. 9-10-11), რომლის გარეთაც გამოვლინდა საქონლის კიდურის (სავარაუდოდ მარჯვენა) ძვალი კვირისთავით. აქვე აღმოჩნდა 2 ბრიჯაოს მცირე სადა ბეჭედი, მცირე ხვია, სარდიონის მძივი და მძივთაშორისი ბრინჯაოს ტიხარი; პატარა საკინძთან ერთად.

სავარაუდოდ, ამ კედლის თავზე, ზემოდან დაფიქსირებული ფილებით გამართული უნდა ყოფილიყო სწორედ ეს „საკურთხეველი“, რომლის გამურული ფილებიც ამჟამად ცერადაა წასული სიღრემში და ნგრევის კვალს ატარებს. სწორედ ამ ფილაზე, ზემოდან იდო ირმის ქანდაკება, ხოლო მისგან მოშორებით ერთ-ერთი საბეჭდავი; რომლებიც 2018/19 წლებში წარმოებული სამუშაოების დროს დავაფიქსირეთ.[8]

პარალელურად, სამლოცველოს აღმოსავლეთით, შემოსასვლელის მხრიდან მოიხაზა კიდევ ორი ჭრილი ზომით - 7 X 5 -მ-ზე და ზემოდან მოეხსნა კორდოვანი ფენა და ჰუმუსი; რის შედეგადაც გამოიკვეთა, სავარაუდოდ, სულ მცირე ორი სამარხეული მოედნის თავზე გამართული წრიული ქვის წყობები (სურ. 12,13), რომელთა შორისაც ამოვიდა დიდი ზომის, ტალღურ ორნამენტიანი, თიხის (სავარაუდოდ, სარიტუალო) ჭურჭლის ფრაგმეტები.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ექსპედიციის საველე სამუშაობი ფინანსდება გერმანული მხარის მიერ და გრძელდება

---

[8] ბუხრაშვილი პ. და სხვ.; 2018, Bukhrashvili P. et al. 2019

სულ მხოლოდ 3-5 კვირის განმავლობაში, გადავწყვიტეთ, რომ ამ ჭრილებზე სამუშაოები გადავდოთ მომავალი წლისთვის და გავაგრძელოთ სამლოცველოს გათხრის დასრულების შემდეგ.

პარალელურად, სამლოცველოს ინტერიერში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გაიწმინდა გამოკვეთილი ქვის თხელი ფენით მოფენილი ორმო, რომელიც უინვენტარო აღმოჩნდა და სავარაუდოდ, სარიტუალო პროცესში სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ მასსა და კედელს შორის, 2018 წ, დიდი რაოდენობით აიკრიფა სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ნამსხვრევები; რომლებიც, გადმოქცეული კედლის ნანგრევებს ქვეშ იყო მოყოლილი (სურ. 14).

ამ ორმოს ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლით, ასევე სამლოცველოს ინტერიერში, ჩაიჭრა საზონდაჟე 2x3 მ ჭრილი, რაც იმით იყო გაპირობებული, რომ წინა წლებში, სამლოცველოს ტერიტორიაზე ი. ფასბინდერის[9] მიერ ჩატარებულ გეომაგნიტური კვლევის სურათზე, ეს ადგილი, მუქად ჩანს და იატაკის ჩავარდნას აჩვენებს. ამ ადგილზე ჩავარდნა შეიმჩნევა გალავნის ამ მონაკვეთზეც (სურ. 15-16).

საცდელი ჭრილის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში, სამლოცველოს იატაკიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეზე, გამოჩნდა დიდი ზომის ქვის გროვა, რომლის ჩრდილო დამრეც შავ ნაძრავ ფენაში აღმოჩნდა კახეთის მხარეში დადასტურებული შედარებით ადრეული (სავარაუდოდ, ქრისტემდე III ათასწლეულის დასასრული ეტაპის – II ათასწლეულის I ნახევრის) პერიოდის შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები (სურ. 17-18).

ყოველივე ეს კი გვავარაუდებინებს, რომ ნაზარლების ძვ.წ-აღ. XII-X სს სამლოცველო, გამართული უნდა იყოს ადრეული პერიოდის ამ ადგილზე მდებარე სამოსახლოს მოსწორებულ-მოშანდაკებულ ბაქანზე. შესაძლოა, აღნიშნულ ადგილზე, მამამთავრის დედანამოსახლარზე, გაზრდილი მოსახლეობის ნაზარლების ფერდებზე განსახლების შემდეგ; რომელმაც, მოგვიანო პერიოდში მამა-პაპეული სამოსახლო სამოცველოდ გაიხადა ისე, როგორც ეს დადასტურებულია, მოგვიანო პერიოდებში კავკასიონის მოსახლეობის ტრადიციულ ეთნოგრაფიულ ყოფაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ჭრილის გაფართოების შემდეგ, გეოდეზიური პუნქტის გარეშემო მიწის მოხსნის შემდეგ, შესაძლებლობის ფარგლებში, მეტ-ნაკლებად, სრულად გაიწმინდა სამლოცველოს უკიდურეს აღმოსავლეთით, მდებარე ნაგებობის საძირკვლის ნაშთი (სურ. 19).

---

[9] Jörg Fassbinder 2020

შესაძლებელია, ეს თავის დროს გახლდათ ერთგვარი „კოშკიც“ კი, რომელიც იდგა სამლოცველოს ღრმადნალისებრი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული გალავნის შესასვლელში, გალავნის კედლებს შორის და ქმნიდა ორ სივრცეს, სამლოცველოს ტერიტორიაზე შესასვლელს და გამოსასვლელს. მასში, ქვებს შორის, რამდენიმე ადგილზე დაფიქსირებული ხის კვალი, მის კონსტრუქციაში ძელების გამოყენებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

სავარაუდოდ, ნაგებობას, აღმოსავლეთით, ამაღლებული თარო-ბაქანი უნდა ჰქონოდა (სურ. 20), შესაბამისი სარიტუალო საქმიანობისთვის, რაზეც მის ჩრდილო კუთხეში, სამლოცველოს გალავნის კედელთან, იატაკის დონეზე ჭინჭილის და აზარფეშის (სურ. 21-22) მსგავსი ხელიანი სასმისის აღმოჩენა გვაფიქრებინებს.

დასასრულს, სამლოცველოს დასავლეთით, გალავნის კედელსა და ტერასის ზღუდის ყველაზე მაღალ წერტილს შორის, ამ ორი ორიენტიერის ურთიერთმიმართების საილუსტრაციოდ, გაიჭრა კიდევ ერთი გრძივი ჭრილი ზომით 17x2 მ, სადაც მოიხსნა კორდოვანი ფენა (სურ. 23).

საველე სამუშაოების დასრულების ბოლო დღეს 22 სექტემბერს კი, მომავალ წლამდე, დაკონსერვდა ძეგლი; რისთვისაც, სამლოცველოს გალავანი და საპრეპარაციო უბნები დაიფარა ბიაზით და და თხელი მიწის ფენით (სურ. 24).

S. Arnhold, P. Bukhrashvili, F. Blocher, Z. Tskvitinidze, Sh. Davitashvili

Preliminary Report on the 2021 Archaeological Works in Dedoplistskaro Municipality conducted by the joint expedition of Tbilisi Ilia State University and Halle Martin Luther University

Sumarry

In 2021, within the framework of the educational-research project developed at Ilia State University: „To the Origins of Statehood in the Caucasus“, a joint Georgian-German archeological expedition, staffed by Georgian and German professors and students, and funded by the Gerda Henkel Foundation (https://www.gerda-henkel-stiftung.de/), Oriental Society of Germany (http://www.orient-gessellschaft.de/) and the University of Halle (http://www.uni-halle.de/) have resumed excavations in the Dedoplistskaro Municipality: 1. Near the village Samreklo on the location „Sakaraulo Seri“ and 2. On the sanctuary, discovered in previous years on Mount Nazarlebi.

Samreklo Multilayer Site

Several horizons of the settlement were revealed and three burials were observed.

The mentioned burials belong to the later layer of the site. The first of these followed directly from the topsoil, without grave goods, and contained only the entire skull and a few human bones. In the second tomb, which was also located at a depth of 0.3 m from the surface, a deceased in a bent position was buried on the right side and was accompanied by two small beads of reddish jasper. The last one was a Pythos Burial, represented by the Butter Churn, with the infant skeleton inside. There were found black burnished fine, well-made earthenware, beads of white paste, a bronze earring and as well as a bronze ring. Small cup and clay animal figurine have been attached to the rim of the Butter Churn. Pythos Burial can be dated back to end of 5th - beginning of 4th cc BC.

Nazarlebi

From August 19 to September 22, the expedition resumed the archeological study of the Late Bronze-Early Iron Age Sanctuary, which began in 2018/19, on Nazarlebi Mountain.

Extended the trench on the easternmost part of the sanctuary, where has been erected Soviet time geodetic point, which disturbed the construction at the entrance of the sanctuary.

However, after clearing this section, it was still possible to reveal the fragments of its basement, which gives us at least a partial impression of the original outline of the entrance of the sanctuary.

In the northeast corner, at about one meter depth from the floor of the sanctuary, a large pile of stone appeared. Fragments of black polished pottery from the relatively early period (probably the end of the 3rd - first half of the 2nd millennium BC) were also found here. All this suggests that the sanctuary has been built on the flattened platform above the early period settlement.

On the last day of the field work, the site was conserved: the fence of the sanctuary and the excavated areas were covered with the coarse fabric and soil.

დამოწმებული ლიტერატურა

ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2017
ბუხრაშვილი პ. ბლოხერი ფ., ცქვიტინიძე ზ., დავითაშვილი შ., (2017) ნაზარლების ნაქალაქარზე ჩატარებული ქართულ -გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ამირანი, XXX, თბ. 2017, გვ. 5-17

ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2018
ბუხრაშვილი პ., ბლოხერი ფ., ცქვიტინიძე ზ., დავითაშვილი შ., (2018) მთა „ნაზარლებზე" (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მიმდინარე ქრთულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სამუშოების მოკლე ანგარიში; ამირანი, XXXI, თბ. 2018; გვ. 5-27

ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2020
ბუხრაშვილი პ., ბლოხერი ფ., ცქვიტინიძე ზ., დავითაშვილი შ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში., ამირანი, XXXII, თბ. 2020; გვ. 9-23

Arnhold et al. 2019
Simone Arnhold, Paata Bukhrashvili, Shorena Davitashvili, Bericht zu den Ausgrabungen in Samreklo Municipalität Dedoplistskaro 2019. Amirani, XXXII, 2019, 5-8

Arnhold et al. 2020
Simone Arnhold, Paata Bukhrashvili, Jörg Faßbinder, Zurab Tskvitinidze, Jonas Abele, Shorena Davitashvili, Untersuchungen in Samreklo, Georgien 2019. Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft 152, 2020, 111-123

Bukhrashvili P. et al. 2019
Bukhrashvili P., Blocher F., Tskvitinidze Z., Davitashvili Sch., Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2017 und 2018, Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft zu Berlin (MDOG) 151, 2019, 271-294

Bukhrashvili P. et al. 2020
Bukhrashvili P., Blocher F., Tskvitinidze Z., Davitashvili Sch., Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2019, Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft zu Berlin (MDOG) 152, 2020, 125-149

Brodbeck-Jucker 2019
Sabina Brodbeck-Jucker, Die Keramik von Udabno, Bonn 2019

Jörg Fassbinder 2020
Jörg Fassbinder, Magnetometerprospektion der spätbronze- bis früh-eisenzeitlichen Fundstelle Nazarlebi, Shiraki-Ebene, Kachetien, Georgien (2018) Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 152, 2020, 150 - 154

Ludwig 2010
Nadine Ludwig, Ostgeorgische Fundplätze des 1. Jahrtausends v. Chr., Langenweißbach 2010

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9-10

სურ. 11

სურ. 12-13

სურ. 14



სურ. 15-16

სურ. 17-18

სურ. 19



სურ. 20

სურ. 21-22

სურ. 23

სურ. 24